

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო
ზომის საწარმოებისთვის (მსს ფასს)

ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
და
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები	7
1 ზოგადი ინფორმაცია	7
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	7
3 მომზადების საფუძველი	7
4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	8
5 შესადარისი ინფორმაცია	12
6 ძირითადი საშუალებები	16
7 სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	16
8 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	16
9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	17
10 მარაგები	17
11 მოკლევადიანი სესხები	17
12 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18
13 ამონაგები	18
14 თვითღირებულება	18
15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	18
16 სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	18
17 პირობითი ვალდებულებები	19
18 ფინანსური რისკების მართვა	19
19 დაკავშირებული მხარეები	21
20 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	21
21 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	21

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიების" (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება-ზარალის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აზრად გამოხატული საკითხებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შესაბამისაა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 7,390,771 ლარის ღირებულებით, (2022: 6,299,268 ლარი და 2022 წლის 1 იანვარი: 5,919,656 ლარი). აღნიშნულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებზე ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები, 2023 წლის ბოლოს 205,109 ლარის ოდენობაზე და 2022 წლის 1 იანვარის მდგომარეობით 542,378 ლარის ოდენობაზე. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებით ვერ დავრწმუნდით სავაჭრო ვალდებულებების ნაშთის სისწორეში 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

კომპანია, მოთხოვნებზე არ აღიარებს საექვო ვალდებულებების რეზერვს, რაც მსს ფასს - ის მოთხოვნაა. დამატებით, ხელმძღვანელობა, საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს არ ასახავს მარაგებს ნეტო სარეალიზაციო და თვითღირებულებას შორის უმცირესით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავრწმუნდით საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 31 იანვარი, 2025

თბილისი, საქართველო



სს საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	გადაანგარიშებული		გადაანგარიშებული
		31-დეკ-2023	31-დეკ-2022	01-იან-2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	4,307	5,495	10,048
არამატერიალური აქტივები		437	531	627
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	7	100,000	100,000	100,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		104,744	106,026	110,675
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8	1,245,917	4,669,480	6,218,922
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	2,035,960	1,786,573	4,257,986
მარაგები	10	5,491,503	5,690,931	2,990,448
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,773,380	12,146,984	13,467,356
სულ აქტივები		8,878,124	12,253,010	13,578,031
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	7	100,000	100,000	100,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		477,572	1,507,320	7,536,751
სულ კაპიტალი		577,572	1,607,320	7,636,751
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	11	892,590	4,326,600	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	7,390,771	6,299,268	5,919,656
საგადასახადო ვალდებულებები		17,191	19,822	21,624
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,300,552	10,645,690	5,941,280
სულ ვალდებულებები		8,300,552	10,645,690	5,941,280
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,878,124	12,253,010	13,578,031

დირექტორი
 მაკა გელაშვილი

მთავარი ბუღალტერი
 ანა ოსეფაიშვილი

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

31 იანვარი 2025

31 იანვარი 2025

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აქტივები	შენიშვნა	გადაწარიშებული		გადაწარიშებული
		31-დეკ-2023	31-დეკ-2022	01-იან-2022
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	4,307	5,495	10,048
არამატერიალური აქტივები		437	531	627
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	7	100,000	100,000	100,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		104,744	106,026	110,675
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8	1,245,917	4,669,480	6,218,922
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	2,035,960	1,786,573	4,257,986
მარაგები	10	5,491,503	5,690,931	2,990,448
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,773,380	12,146,984	13,467,356
სულ აქტივები		8,878,124	12,253,010	13,578,031
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	7	100,000	100,000	100,000
სულ კაპიტალი		477,572	1,507,320	7,536,751
ვალდებულებები		577,572	1,607,320	7,636,751
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	11	892,590	4,326,600	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	7,390,771	6,299,268	5,919,656
საგადასახადო ვალდებულებები		17,191	19,822	21,624
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,300,552	10,645,690	5,941,280
სულ ვალდებულებები		8,300,552	10,645,690	5,941,280
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,878,124	12,253,010	13,578,031

დირექტორი
 მაკა გელაშვილი

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

31 იანვარი 2025

მ. გელაშვილი



მთავარი ბუღალტერი
 ანა ოსეფაშვილი

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

31 იანვარი 2025

ა. ოსეფაშვილი

სს საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

მოგება-ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	გადაანგარიშებული	
		2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	13	72,705,956	84,217,413
თვითღირებულება	14	(57,825,052)	(66,400,525)
საერთო მოგება		14,880,904	17,816,888
სხვა შემოსავლები		-	14,439
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(884,280)	(720,842)
სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	16	(490,168)	273,493
სხვა ხარჯები		(577)	(635)
საოპერაციო მოგება		13,505,879	17,383,343
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	11	(186,752)	(109,303)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	-
გაუფასურების რეზერვის (ხარჯი) / შემოსავალი		-	-
მოგება დაბეგვრამდე		13,319,127	17,274,040
მოგების გადასახადი		(2,998)	-
პერიოდის მოგება		13,316,129	17,274,040
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი / (ხარჯი)		13,316,129	17,274,040

დირექტორი
 მაკა გელაშვილი

მთავარი ბუღალტერი
 ანა ოსეფაიშვილი

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

31 იანვარი 2025

31 იანვარი 2025

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

მოგება-ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	გადაწარიშებული	
		2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	13	72,705,956	84,217,413
თვითღირებულება	14	(57,825,052)	(66,400,525)
საერთო მოგება		14,880,904	17,816,888
სხვა შემოსავლები		-	14,439
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(884,280)	(720,842)
სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	16	(490,168)	273,493
სხვა ხარჯები		(577)	(635)
საოპერაციო მოგება		13,505,879	17,383,343
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	11	(186,752)	(109,303)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	-
გაუფასურების რეზერვის (ხარჯი) / შემოსავალი		-	-
მოგება დაბეგვრამდე		13,319,127	17,274,040
მოგების გადასახადი		(2,998)	-
პერიოდის მოგება		13,316,129	17,274,040
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი / (ხარჯი)		13,316,129	17,274,040

დირექტორი
 მკა გელაშვილი

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

31 იანვარი 2025

მ. გელაშვილი



მთავარი ბუღალტერი
 ანა ოსეფაიშვილი

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

31 იანვარი 2025

ა. ოსეფაიშვილი

სს საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 01 იანვარი (გადაანგარიშებული)	100,000	-	7,536,751	7,636,751
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი / (ხარჯი)	-	-	17,274,040	17,274,040
გაცემული დივიდენდი	-	-	(23,303,469)	(23,303,469)
2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	100,000	-	1,507,320	1,607,320
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი / (ხარჯი)	-	-	13,316,129	13,316,129
გაცემული დივიდენდი	-	-	(14,345,878)	(14,345,878)
2023 წლის 31 დეკემბერი	100,000	-	477,572	577,572

დირექტორი
 მაკა გელაშვილი

მთავარი ბუღალტერი
 ანა ოსეფაიშვილი

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

31 იანვარი 2025

31 იანვარი 2025

სს საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში


კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 01 იანვარი (გადაანგარიშებული)	100,000	-	7,536,751	7,636,751
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი / (ხარჯი)	-	-	17,274,040	17,274,040
გაცემული დივიდენდი	-	-	(23,303,469)	(23,303,469)
2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	100,000	-	1,507,320	1,607,320
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი / (ხარჯი)	-	-	13,316,129	13,316,129
გაცემული დივიდენდი	-	-	(14,345,878)	(14,345,878)
2023 წლის 31 დეკემბერი	100,000	-	477,572	577,572

დირექტორი
მაკა გელაშვილი

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

31 იანვარი 2025

მ. გელაშვილი



მთავარი ბუღალტერი
ანა ოსეფაშვილი

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

31 იანვარი 2025

ა. ოსეფაშვილი

სს საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		72,056,572	84,403,293
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე საქვეანგარიშოდ გაცემული ფულადი სახსრები		(56,250,934)	(65,661,647)
გადახდილი ხელფასი და ფ/პ მომსახურება		(576,631)	(347,221)
სხვა ხარჯები		(81,561)	(138,901)
სხვა შემოსავლები		1,737	14,439
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		15,149,183	18,269,963
გადახდილი პროცენტი	11	(186,752)	(109,303)
საბიუჯეტო გადასახდელები		(875,715)	(1,274,384)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		14,086,715	16,886,276
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	6	(2,300)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,300)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გაცემული დივიდენდი		(13,628,583)	(22,138,296)
სესხის აღება		-	9,272,100
გასავალი აღებული სესხის დასაფარად		(3,367,785)	(4,278,486)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(16,996,368)	(17,144,682)
ფული და ფულადი სახსრების ზრდა (კლება)		(2,911,953)	(258,406)
ფული და ფულადი სახსრების საწყისი ბალანსი		4,669,480	6,218,922
საკურსო სხვაობის შედეგი ფულსა და ფულად ეკვივალენტებზე		(511,611)	(1,291,036)
ფული და ფულადი სახსრების საბოლოო ბალანსი	8	1,245,917	4,669,480

დირექტორი
მაკა გელაშვილი

მთავარი ბუღალტერი
ანა ოსეფაიშვილი

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

31 იანვარი 2025

31 იანვარი 2025

სს საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოპრაობის ანგარიშგება	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		72,056,572	84,403,293
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე საქვეანგარიშოდ გაცემული ფულადი სახსრები		(56,250,934)	(65,661,647)
გადახდილი ხელფასი და ფ/ვ მომსახურება		(576,631)	(347,221)
სხვა ხარჯები		(81,561)	(138,901)
სხვა შემოსავლები		1,737	14,439
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		15,149,183	18,269,963
გადახდილი პროცენტი	11	(186,752)	(109,303)
საბიუჯეტო გადასახდელები		(875,715)	(1,274,384)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		14,086,715	16,886,276
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	6	(2,300)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,300)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გაცემული დივიდენდი		(13,628,583)	(22,138,296)
სესხის აღება		-	9,272,100
გასავალი აღებული სესხის დასაფარად		(3,367,785)	(4,278,486)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(16,996,368)	(17,144,682)
ფული და ფულადი სახსრების ზრდა (კლება)		(2,911,953)	(258,406)
ფული და ფულადი სახსრების საწყისი ბალანსი		4,669,480	6,218,922
საკურსო სხვაობის შედეგი ფულსა და ფულად ეკვივალენტებზე		(511,611)	(1,291,036)
ფული და ფულადი სახსრების საბოლოო ბალანსი	8	1,245,917	4,669,480

დირექტორი
მაკა გელაშვილი

სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

31 იანვარი 2025

მ. გელაშვილი



სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები"

მთავარი ბუღალტერი
ანა ოსეფაშვილი

31 იანვარი 2025

ანა ოსეფაშვილი

1 ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები(შემდგომში მოხსენიებული როგორც "კომპანია") ინფორმაციას.

სააქციო საზოგადოება "საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები" (ს/კ:405177687) დაფუძნდა 2016 წლის 24 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზ. №1, ბლოკი „A“, ბინა 3. 2019 წლის 15 აპრილს კომპანია რეორგანიზაციის შედეგად გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო სახარჯო მასალით ვაჭრობა. 2016 წლის 24 ნოემბერს კომპანიის მიენიჭა სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

სპეციალური დანიშნულების კომპანიის საოპერაციო გარემო, რომელიც ფუნქციონირებს საბაჟო ტერმინალიდან რეექსპორტის მიმართულებით, განსაკუთრებულად რეგულირდება საბაჟო და საერთაშორისო ვაჭრობის კანონმდებლობით. ასეთი კომპანიის საქმიანობა მოიცავს საქონლის მიღებას, დამუშავებას და მის ხელახალ ექსპორტს, რაც მოითხოვს ეფექტურ პროცესებს, შესაბამის ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასა და გამოცდილი კადრების ჩართულობას. კომპანიის ოპერაციები ძირითადად დაფუძნებულია მჭიდრო თანამშრომლობაზე საბაჟო ორგანოებთან, დოკუმენტაციის სრულყოფილ მართვაზე და ლოგისტიკური პროცესების სწრაფ და ზუსტ შესრულებაზე.

კომპანიის წარმატებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაჟო ტერმინალში არსებული პირობების მაქსიმალური გამოყენება. იგი ახორციელებს რეექსპორტისთვის აუცილებელ ყველა პროცედურას, მათ შორის სასაქონლო დეკლარაციების მომზადებას, ტრანსპორტირების მარშრუტების დაგეგმვას და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობას. საოპერაციო გარემო ამ კომპანიისთვის ხასიათდება მაღალი კონკურენციით, რაც განაპირობებს საჭიროებას, მუდმივად გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და პროცესების ოპტიმიზაცია.

3 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სტანდარტის შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და არ არის დაყოფილი როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი“).

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით და, საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ძირითადი საშუალებები მოიცავს აქტივებს სამომავლო გამოყენებისთვის.

მოსალოდნელი ხარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოხმარდება კომპანიას და აქტივის ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა
4.1 ძირითადი საშუალებები

ცვეთა: ძირითადი საშუალებების კატეგორიებზე ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მათი ხარჯი განაწილდეს ნარჩენ ღირებულებებზე სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადა
	შენობა - ნაგებობები 30 წელი
	მანქანა-დანადგარები 7-10 წელი
	მოწყობილობები და აპარატურა 7-10 წელი
	საოფისე აღჭურვილობა 3-8 წელი
	სატრანსპორტო საშუალებები 7-15 წელი
	სხვა 3-8 წელი

4.2 არამატერიალური აქტივი

არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს კომპანიის ბუღალტრული პროგრამა, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 10 წლის გაანგარიშებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

4.3 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო მატერიალური ფასეულობის შემთხვევაში გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენაზე, ადგილზე მიტანაზე და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანაზე გაწეულ ხარჯებს

4.5 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ეს ნიშნავს, რომ აღიარების მომენტი იწყება იმ დროს, როდესაც კომპანიას ენიჭება სამართლებრივი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. სახელშეკრულებო პირობების მონაწილეობის შედეგად, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში გამოჩნდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შესაბამისი პირობებით, რაც განსაზღვრავს მის შემდგომ აღიარებას, გაზომვას და ანგარიშგებას.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება იმ დროს, როდესაც კომპანიის მიერ ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან როდესაც კომპანია გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ ძირითად რისკებსა და სარგებელს მესამე მხარეს. ამ პროცესში გათვალისწინებულია, რომ აქტივის გადაცემის შედეგად, კომპანია ვეღარ აკონტროლებს მის გამოყენებასა და ფინანსურ სარგებელს. რაც შეეხება ფინანსურ ვალდებულებებს, მათი აღიარება წყდება, როდესაც ვალდებულება სრულდება, გაუქმდება ან მის სამართლებრივ ძალას ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება მათი რეალური ღირებულებით, რომელსაც ემატება გარიგებასთან დაკავშირებული ყველა პირდაპირი ხარჯი. ეს ხარჯები შეიძლება მოიცავდეს საკონსულტაციო, საბანკო ან სხვა მომსახურების გადასახადებს, რომლებიც აუცილებელია გარიგების წარმატებით განხორციელებისთვის. მსს ფასს -ის მოდული 11-ის მიხედვით, რეალური ღირებულების აღიარება და შემდგომი გაზომვა უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეს და ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების სამართლიან ასახვას კომპანიის ბალანსში.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში -

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.5 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ ემპირიულ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

(ა) ემიტენტის ან მევალის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;

(ბ) ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, პროცენტის ან ძირი თანხის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება;

(გ) საწარმო, დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;

(დ) როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან

(ე) ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები.

4.6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები მოიცავს ფულს, ბანკებში შენახულ დეპოზიტებსა და სხვა მოკლევადიანი მაღალი ლიკვიდობის ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა წარმოადგენს არაუმეტეს სამ თვეს. შეზღუდული ფული არ არის შეტანილი ფულად სახსრების და ეკვივალენტებთან ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისათვის. ფულის და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში შედის ნაშთები, რომლებზეც არის გაცვლის შეზღუდვა ან რომლებიც გამოიყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშო პერიოდიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ის ძირითადი ვალუტა, რომელშიც ერთეული ოპერირებს. კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით საანგარიშო პერიოდის ბოლოს. უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციების ანგარიშსწორებით მიღებული სავალუტო მოგება და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი.

2023 წლის 31 დეკემბერს, დოლარში არსებული ნაშთის კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი (2022: 1 აშშ დოლარი = 2.7020 ლარი; 2021: 1 აშშ დოლარი = 3.0976 ლარი) და 1 ევრო = 2.9753 (2022: 1 ევრო = 2.8844 ლარი; 1 ევრო = 3.504 ლარი).

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.7 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით.

საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი გამოცხადების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

4.8 საშემოსავლო და მოგების გადასახადი

საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო პერიოდის ბოლომდე ამოქმედებული ან არსებითად მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, სპეციალური დანიშნულების საწარმოები სარგებლობენ გარკვეული საგადასახადო შეღავათებით. შეღავათებიდან ერთ-ერთი მთავარი არის, მოგების გადასახადისგან გათავისუფლება დივიდენდის გაცემის მომენტში. სპეციალური სტატუსის მქონე საწარმოს მიერ მიღებული მოგების დივიდენდებად გადანაწილების შემთხვევაში, აღნიშნულ პროცესზე მოგების გადასახადი არ ვრცელდება. სპეციალური სტატუსის მქონე საწარმოს მოგების გადასახადს გაიანგარიშებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეასრულებს ისეთ საქმიანობას, რომელიც არ არის გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათებით ან დაარღვევს დაწესებულ ნორმებს.

საშემოსავლო გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღირიცხება, როგორც საშემოსავლო გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადებულია დივიდენდები, გადახდის თარიღის ან პერიოდის მიუხედავად, როდესაც გაიცემა დივიდენდები. კომპანიამ შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივის და ვალდებულების აღიარება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასახა შესაბამისი გავლენა მოგება-ზარალში 2016 წელს. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადასახდებლებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ სუბიექტებზე გადახდილი ყველა ავანსი და ასეთ სუბიექტებთან სხვა გარკვეული ტრანზაქცია, აგრეთვე ფიზიკური ან არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხები დაუყოვნებლივ იბეგრება. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გარდა აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო შეღავათების, მიღებულ იურისდიქციებში რეგისტრირებულ სუბიექტებზე გადახდილი ავანსების სანაცვლოდ, რომლებსაც აქვთ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი ან ანაზღაურება ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხებისა, აღირიცხება სხვა გადასახადებში, გარდა შემოსავალზე, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.9 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, შემოსავლებისა და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა, როდესაც სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიედინება ერთეულში და როდესაც დაკმაყოფილებულია კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

საქონლის რეალიზაცია საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები აღიარებულია საქონლის საკუთრებაში არსებული რისკებისა და სარგებელის გადაცემის დროს, ჩვეულებრივ, საქონლის გაგზავნისას. თუ კომპანია თანახმაა საქონლის გადაზიდვაზე მითითებულ ადგილას, შემოსავალი აღიარებულია, როდესაც საქონელი გადაეცემა მომხმარებელს დანიშნულების ადგილზე.

4.10 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება, ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას გააჩნია იურიდიული ვალდებულება გადაიხადოს საპენსიო შენატანები.

5 შესადარისი ინფორმაცია

კომპანიის მენეჯმენტმა მოახდინა 2022 და 2021 წლების ფინანსური მონაცემების გადაანგარიშება, რათა უზრუნველყოფს ანგარიშგებების სიზუსტე და შესაბამისობა სტანდარტებთან. გადასინჯვამ მოიცვა ოპერაციებისა და შეფასებების გადახედვა, რაც აუცილებელი იყო აღმოჩენილი ხარვეზების გამოსასწორებლად. ცვლილებები წარმოდგენილია ანგარიშგებაში, დეტალურად ასახული მათი ზეგავლენის სრულყოფილად მოსახსოვრებლად.

1) 2021 და 2022 წლების ფინანსურ ანგარიშგებებში საწესდებო კაპიტალის 100,000 ლარის ოდენობის ნაწილი გამორჩენილი იყო როგორც აქტივებში, ასევე კაპიტალში. ეს შეცდომა გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის სიზუსტეზე და ანგარიშგების სანდოობაზე. შესაბამისად, მენეჯმენტმა გადაწყვიტა აღნიშნული პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების გადასინჯვა და კორექტირება, რათა უზრუნველყოფს მონაცემების სრული შესაბამისობა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან.

2) მენეჯმენტმა აღმოაჩინა, რომ წინა ფინანსურ ანგარიშგებებში ფულადი სახსრების გადაფასების ეფექტი არასწორ პერიოდში იყო ასახული, რამაც გავლენა მოახდინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის სიზუსტეზე. აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად, მენეჯმენტმა განახორციელა შესაბამისი კორექტირებები, რათა ფულადი სახსრების გადაფასების ეფექტი ასახულიყო სწორ საანგარიშგებო პერიოდში.

3) 2021-2022 წლების ფინანსურ ანგარიშგებებში მენეჯმენტმა აღმოაჩინა შეცდომა სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ნაწილში, კერძოდ: კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები და მიღებული ავანსები, ასევე მომწოდებელთა ვალდებულებები და გაცემული ავანსები არასწორად იყო კლასიფიცირებული, რაც იწვევდა სხვაობებს სავაჭრო მოთხოვნებსა და ვალდებულებებს შორის. გარდა ამისა, შუამავალი ბანკების საკომისიოები ნაწილობრივ არ იყო ასახული, ხოლო დებიტორული დავალიანების ანარიცხები არასრულად იყო წარმოდგენილი. აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად, მენეჯმენტმა განახორციელა ფინანსური ანგარიშგებების გადასინჯვა და კორექტირება.

5 შესადარისი ინფორმაცია (გაგრძელება)

4) წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში რამდენიმე საწყობში მიღებული პროდუქცია არ იყო გათვალისწინებული, რაც იწვევს აქტივების არასრულ ასახვას და, შესაბამისად, ფინანსური მდგომარეობის არაზუსტ წარმოდგენას. მენეჯმენტმა აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად განახორციელა შესაბამისი კორექტირებები, რათა უზრუნველყოფო ფინანსური ანგარიშგების სიზუსტე და შესაბამისობა მსს ფასს სტანდარტებთან

5) წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებში მენეჯმენტმა აღმოაჩინა, რომ არ მოხდა საგადასახადო ვალდებულებების შედარება შემოსავლების სამსახურის მონაცემებთან, რის შედეგადაც გამორჩენილი იყო ქონების გადასახადების, ჯარიმებისა და პირგასამტეხლობის დარიცხვა. ეს ხარვეზი იწვევდა საგადასახადო ვალდებულებების არაზუსტ ასახვას და, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების სანდოობის შემცირებას. აღნიშნული პრობლემის გამოსასწორებლად, მენეჯმენტმა განახორციელა საგადასახადო ვალდებულებების გადამოწმება და შესაბამისი კორექტირებები.

2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მენეჯმენტმა დეტალურად წარმოადგინა ცხრილი, რომელიც ასახავს განხორციელებულ გადაანგარიშებებს და მათ ღირებულებებს. ეს ცხრილი შეიცავს ინფორმაციას თითოეული მუხლის შესახებ, რომელშიც მოხდა ცვლილება, ცვლილების ოდენობას და მის ზეგავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

მენეჯმენტმა გადაწყვიტა, რომ წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გრძელვადიან სესხებში წარმოდგენილი თანხა რეალურად მოკლევადიან სესხს ეკუთვნოდა. ამიტომ, მენეჯმენტმა განახორციელა შესაბამისი კორექტირება, რათა უზრუნველყოფო ფინანსური ანგარიშგების სიზუსტე და შესაბამისობა მსს ფასს სტანდარტებთან

იხილეთ თანდართული ცხრილი:

5 შესადარისი ინფორმაცია (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებუ ლი
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	-	100,000	100,000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,003,497	783,076	1,786,573
მარაგები	3,190,931	2,500,000	5,690,931
საერთო გავლენა მთლიან აქტივებზე	4,194,428	3,383,076	7,577,504

2022 წლის 1 იანვარი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებუ ლი
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	-	100,000	100,000
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6,256,009	(37,087)	6,218,922
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4,317,467	(59,481)	4,257,986
მარაგები	2,989,563	885	2,990,448
საერთო გავლენა მთლიან აქტივებზე	13,563,039	4,317	13,567,356

2022 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებუ ლი
საწესდებო კაპიტალი	-	100,000	100,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	672,525	834,795	1,507,320
საერთო გავლენა მთლიან კაპიტალზე	672,525	934,795	1,607,320

2022 წლის 1 იანვარი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებუ ლი
საწესდებო კაპიტალი	-	100,000	100,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	7,361,871	174,880	7,536,751
საერთო გავლენა მთლიან კაპიტალზე	7,361,871	274,880	7,636,751

5 შესადარისი ინფორმაცია (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებუ ლი
გრძელვადიანი სესხები	4,326,600	(4,326,600)	-
მოკლევადიანი სესხები	-	4,326,600	4,326,600
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,852,360	2,446,908	6,299,268
საგადასახადო ვალდებულებები	18,449	1,373	19,822
საერთო გავლენა მთლიან ვალდებულებებზე	3,870,809	2,448,281	6,319,090

2022 წლის 1 იანვარი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებუ ლი
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6,202,207	(282,551)	5,919,656
საგადასახადო ვალდებულებები	9,634	11,990	21,624
საერთო გავლენა მთლიან ვალდებულებებზე	6,211,841	(270,561)	5,941,280

2022 წელი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებუ ლი
ამონაგები	84,223,228	(5,815)	84,217,413
თვითღირებულება	(64,518,926)	(1,881,599)	(66,400,525)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(687,313)	(33,529)	(720,842)
მიწოდების დანახარჯები	(1,886,468)	1,886,468	-
სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	51,128	222,365	273,493
სხვა ხარჯები	(472,661)	472,026	(635)
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი / (ხარჯი) - ზე	16,708,988	659,916	17,368,904

სს საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

6 ძირითადი საშუალებები

2022 წელი	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა
ისტორიული ღირებულება	
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	26,445
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	26,445
აკუმულირებული ცვეთა	
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	(16,397)
პერიოდის ცვეთა	(4,553)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	(20,950)
2023 წელი	
ისტორიული ღირებულება	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	26,445
დამატებები	2,300
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	28,745
აკუმულირებული ცვეთა	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	(20,950)
პერიოდის ცვეთა	(3,488)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	(24,438)
ნარჩენი ღირებულება	
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	10,048
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	5,495
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	4,307

7 სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები

სხვა გრძელვადიანი მოთხოვნა ღირებულებით 2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 100,000 ლარი მოიცავს აქციონერთა მიმართ მოთხოვნას კაპიტალში შევსებამდე, რომელიც კაპიტალში შეტანილია 2023 წლის 31 დეკემბრის პერიოდის შემდგომ.

8 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ვალუტა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	01 იანვარი 2022
ქართული ლარი	23,047	20,333	19,779
აშშ დოლარი	1,188,206	3,879,821	2,338,356
ევრო	34,664	769,326	3,860,787
სულ ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1,245,917	4,669,480	6,218,922

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები წარმოადგენს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს

სს საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

8 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ვალუტა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	01 იანვარი 2022
ფული საბანკო ანგარიშზე	1,245,917	4,669,480	6,218,922
სულ ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1,245,917	4,669,480	6,218,922

9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	01-იან-2022
სავაჭრო მოთხოვნები	317,860	357,928	1,316,261
გადახდილი ავანსები	1,718,100	1,428,646	2,941,725
დამფუძნებლებზე გაცემული ავანსი	-	-	-
საექვო ვალების რეზერვი	-	-	-
სულ წმინდა მოთხოვნები	2,035,960	1,786,573	4,257,986

10 მარაგები

კომპანიის მარაგები 2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს, გასაყიდად შეძენილ სამედიცინო სახარჯ / მასალას.

11 მოკლევადიანი სესხები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიების მიღებული სესხების ნაშთი, საქართველოს ბანკისგან, შეადგენს 892,590 ლარს; 2022 წლის 31 დეკემბერი 4,326,600 ლარი, 2021 წლის 31 დეკემბერი 0 ლარი

	თანხა
ნაშთი 2022 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-
მიღებული სესხი 2022 წელს	9,427,905
დაფარული სესხის თანხა 2022 წელს	(5,101,305)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,326,600
მიღებული სესხი 2023 წელს	156,640
დაფარული სესხის თანხა 2023 წელს	(3,590,650)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	892,590

2023 წელს კომპანიის მიერ ბანკისგან მიღებული სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი შეადგენს 186,752 ლარს, 2022 წელი (109,303 ლარი)

2017 წლის 29 მაისს კომპანიას აქვს საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება გაფორმებული, სს საქართველოს ბანკთან 5 მილიონ აშშ დოლარის ოდენობით. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 6 თვიან EURIBOR-ის განაკვეთს დამატებული 5.75% მაგრამ არანაკლებ 7.75%-ისა

12 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	01-იან-2022
სავაჭრო ვალდებულებები	5,719,677	3,955,265	3,034,450
მიღებული ავანსები	1,667,230	2,287,556	2,847,573
გადასახდელი ხელფასი/ბონუსი	3,864	56,448	37,632
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,390,771	6,299,268	5,919,656

13 ამონაგები

კომპანიის ამონაგები მოიცავს საქონლის ექსპორტზე რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს, რომლებიც კონტროლდება მოქმედი საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით. ამონაგები წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, რაც ითვალისწინებს საქონლის დაბრუნებისა და ფასდათმობის შედეგად მიღებული დანაკარგების გამოკლებას. 2023 წელს კომპანიის ამონაგებმა შეადგინა 72,705,956 ლარი (2022 წელი: 84,217,413 ლარი).

14 თვითღირებულება

თვითღირებულება წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, რაც ითვალისწინებს შესყიდული საქონლის დაბრუნების და ფასდათმობის ეფექტს. თვითღირებულებამ 2023 წელს შეადგინა 56,240,150 ლარი, თვითღირებულება მოიცავს სახარჯი მასალის ხარჯებს 56,240,150 ლარის ღირებულებით, ტრანსპორტირების ხარჯებს 1,506,869 ლარი და სხვა ზედნადებ ხარჯებს 78,033 ლარი. (2022 წელი: 66,400,525 ლარი).

15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2023 წელი	2022 წელი
ხელფასის ხარჯი	685,902	477,462
ბანკის საკომისიო ხარჯი	82,673	165,919
ტრანსპორტირების ხარჯი	47,613	36,910
იჯარის ხარჯი	6,600	6,600
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	3,582	4,648
მივლინების ხარჯი	835	-
სხვა ხარჯი	57,074	29,303
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	884,280	720,842

16 სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	730,308	2,201,731
ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(1,220,475)	(1,928,238)
წმინდა ეფექტი	(490,168)	273,493

17 პირობითი ვალდებულებები

17.1 სასამართლო დავები

ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის კომპანია არ არის ჩართული სასამართლო დავებში.

17.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. შესაბამისმა საგადასახადო ორგანოებმა შესაძლოა დაიწუნონ ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის და საქმიანობისთვის განხორციელებული ტრანზაქციების ინტერპრეტაცია. საგადასახადო ორგანოები ხშირად იკავებენ უფრო მტკიცებით პოზიციას კანონმდებლობის და შეფასებების ინტერპრეტირებისას. შედეგად, შესაძლებელია დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და პროცენტების დაწესება.

18 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის ფინანსური რისკების მართვის მიზანია უზრუნველყოს სტაბილური ფულადი ნაკადები და დაიცვას აქციონერთა ინტერესები. ძირითადი პოლიტიკა მოიცავს:

- საკრედიტო რისკის მართვისათვის მომხმარებელთა საკრედიტო ლიმიტების დაწესებას;
- მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველყოფას;
- სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების რისკების მართვისთვის ჰეჯირების სტრატეგიების პერიოდულ გადახედვას.

19 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშვალდებული საწარმო").

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (i) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

19 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

- (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;
- (v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.
- თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავე საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავე საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (31.12.2023)	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	გადასახდელი ხელფასი
უმაღლესი ხელმძღვანელობა	121,140	-	-
სხვა დაკავშირებული მხარე	1,615,750	(5,611,575)	-

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (31.12.2022)	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	გადასახდელი ხელფასი
უმაღლესი ხელმძღვანელობა	100,000	-	(56,448)
სხვა დაკავშირებული მხარე	1,479,162	(3,914,369)	-

19 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (31.12.2021)	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	გადასახდელი ხელფასი
უმაღლესი ხელმძღვანელობა	100,000	-	(37,632.00)
სხვა დაკავშირებული მხარე	3,794,050	(2,958,100)	-
2023 წლის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	ხელფასის ხარჯი		შემოსავალი
უმაღლესი ხელმძღვანელობა	44,329		-
სხვა დაკავშირებული მხარე	-		50,236
2022 წლის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	ხელფასის ხარჯი		შემოსავალი
უმაღლესი ხელმძღვანელობა	26,487		-
სხვა დაკავშირებული მხარე	-		207,537

20 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

21 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2023 წლის 31 დეკემბრის შემდგომ აქციონერებზე გაიცა დივიდენდი ჯამური ღირებულებით 6,075,847.29 ლარი.

კომპანიამ 2023 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში სს "საქართველოს ბანკი"-სგან აიღო სესხი 500 000 ევროს ოდენობის საკრედიტო ხაზიდან 390 000 ევრო.

2024 წლის 14 ნოემბერს კომპანიის დამფუძნებლებმა საწესდებო კაპიტალში შეიტანეს 100,000 ლარი.

*** დოკუმენტის დასასრული ***



მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის

JSC International Medical Technologies

Tax ID: 405177687

Amirejibi str #1, Tbilisi, Georgia

Tel: +995 557 773 126

შესავალი

სს „საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები“ (შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 24/11/2016 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად, ხოლო 15/04/2019 წელს მოხდა კომპანიის გარდაქმნა სააქციო საზოგადოებად.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ჭაბუა ამირეჯიბის გზატ., №1, ბლოკი ა, ბინა 3; საწყობი და ლოჯისტიკის დეპარტამენტი მდებარეობს: თბილისში, საბაჟო საწყობში.

კომპანიის დირექტორია: მაკა გელაშვილი (პ/ნ 57001019854)

კომპანიას ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს დირექტორი, რომელიც კომპანიას ხელმძღვანელობს საერთო კრების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. წამომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს ერთპიროვნულად.

კომპანიის მმართველობითი ორგანო არის:

- საერთო კრება
- დირექტორი

კომპანიის განთავსებული კაპიტალი შეადგენს 100 000 ლარს.

სტრატეგია, განვითარების გეგმა

კომპანია მუდმივად ცდილობს მსოფლიო ბაზარზე მოიძიოს ახალი დამკვეთები და არსებულ დამკვეთებთან განავითაროს არსებული თანამშრომლობა. ძირითადი აქტივი რასაც კომპანია ეყრდნობა არის მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, რაც დამკვეთს აძლევს საშუალებას რომ მისაღები ფასით სასურველი ხარისხის პროდუქტი მიიღოს.

გამომდინარე აქედან, კომპანიის უახლოესი განსაზღვრადი პერიოდის ბიზნეს სტრატეგიაა შეინარჩუნოს არსებული დამკვეთები, რომლებთანაც აკავშირებს მოკლევადიანი და გრძელვადიანი პარტნიორობა. აგრეთვე კომპანიის მიზანია დაამყაროს საქმიანი ურთიერთობები ახალ დამკვეთებთან.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია სპეციალიზდება სამედიცინო სახარჯი მასალის რეალიზაციაში. კომპანიის მენეჯმენტს ღრმად აქვს გაცნობიერებული პასუხისმგებლობა, რაც დაკავშირებულია სამედიცინო დანიშნულების პროდუქციის რეალიზაციასთან და ყოველთვის ორიენტირებულია დამკვეთებს მიაწოდოს ხარისხიანი პროდუქცია.

ფილიალები

კომპანია გააჩნია ერთი ფილიალი, რომელიც მდებარეობს საქართველოში, ქალაქ თბილისში. ფილიალი ხელს უწყობს ძირითადი ოფისისა და საწყობის ოპერაციების ეფექტიანობას და ლოჯისტიკურ მხარდაჭერას

წარმოებული კვლევები

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში დამოუკიდებელი კვლევები არ ჩატარებია. თუმცა, კომპანია მუდმივად აკვირდება ბაზრის განვითარებას და ახორციელებს ინოვაციური გადაწყვეტილებების ინტეგრაციას სერვისების გასაუმჯობესებლად.

საოპერაციო გარემო

კომპანია თანამშრომლობს მხოლოდ მსოფლიოში საუკეთესო სამედიცინო პროდუქციის მწარმოებელ კომპანიებთან. თანამშრომლობა მოიცავს როგორც პროდუქციის შესყიდვას, ასევე ნებისმიერი საჭიროების შემთვევაში მათ პირად ჩართულობას.

საერთო კრება

საერთო კრება გადამწყვეტ როლს ასრულებს კომპანიის მენეჯმენტისა და სტრატეგიული მიმართულების ზედამხედველობაში. გადაწყვეტილებაუნარიანი აქციონერთა საერთო კრება დაკომპლექტებულია უშუალოდ კომპანიის აქციონერთა აბსოლუტური უმრავლესობისაგან, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების დაბალანსებულ პროცესს. რეგულარულად იმართება შეხვედრები ფინანსური საქმიანობის განხილვის, რისკების შესაფასებლად და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად.

მენეჯმენტის გუნდი

ჩვენი მმართველი გუნდი პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ ოპერაციებზე. ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ საერთო კრებასთან, რათა განახორციელონ სტრატეგიული გეგმები, წარმოადგინონ ინიციატივები და უზრუნველყონ კომპანიის მიზნების სრულად და ჯეროვნად მიღწევა. გუნდი მოწოდებულია დაიცვას კორპორატიული მართვისა და გამჭვირვალობის უმაღლესი სტანდარტები.

საწყობის მენეჯმენტი

პროდუქციის დასაწყობებას ვახორციელებთ საბაჟო საწყობში. საბაჟო საწყობი არის მკაცრი კონტროლის ზონა, რომელიც სახელმწიფო საბაჟო უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ყველა საჭირო კონტროლის მექანიზმით (მაღალი გარჩევადობის ვიდეო კამერებით, სკანერებით და ა.შ). პროდუქციის შენახვა ხორციელდება შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმების დაცვით, რათა ვუზრუნველყოთ, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო სტანდარტებს, პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების კუთხით.

რისკების მართვა

საერთაშორისო ბაზარზე ჩვენი ბიზნესის ბუნება შეიცავს გარკვეულ რისკებს. მათ შორის აღსანიშნავია სხვა კონკურენტი კომპანიებით მარტივად ჩანაცვლების რისკი. აღნიშნული რისკის დაზღვევის მიზნით ვცდილობთ დამკვეთებთან კომუნიკაცია მოვახდინოთ მათთვის სასურველ დროსა და სივრცეში, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მათი სურვილები და კონკურენტუნარიანი ფასების დასადგენად მივიღოთ დამკვეთებისაგან ინფორმაცია კონკურენტების მიერ შეთავაზებულ ფასებზე.

ასევე აღსანიშნავია სავალუტო რისკები, რომლებიც გამოწვეულია პროდუქციის განსხვავებულ ვალუტებში შეძენა/რეალიზაციის გამო. აღნიშნული რისკების შესამცირებლად კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ჰეჯირების სტრატეგიებს და მუდმივად აკვირდება სავალუტო კურსების ცვლილებებს. ვინაიდან საკრედიტო რისკები ძირითადად დაკავშირებულია დებიტორულ დავალიანებებთან, კომპანია ახორციელებს მომხმარებელთა საკრედიტო უნარიანობის შეფასებას და ადგენს შესაბამის საკრედიტო ლიმიტებსა და გადახდის პირობებს შესაძლო დანაკარგების შესამცირებლად.

ფინანსური რისკების მართვის მიზნები და პოლიტიკა.

კომპანიის ფინანსური რისკების მართვის მიზანია უზრუნველყოს სტაბილური ფულადი ნაკადები და დაიცვას აქციონერთა ინტერესები. ძირითადი პოლიტიკა მოიცავს:

1. საკრედიტო რისკის მართვისათვის მომხმარებელთა საკრედიტო ლიმიტების დაწესებას;
2. მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველყოფას;
3. სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების რისკების მართვისთვის ჰეჯირების სტრატეგიების პერიოდულ გადახედვას.

ადამიანური რესურსები

2023 წელს კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 18 ადამიანს.

კომპანია ამყობს იმით, რომ ჰყავს თანამშრომლების პასუხისმგებლიანი და მეგობრული გუნდი, რომელიც წლების განმავლობაში კომპანიის ხელმძღვანელობასთან ერთად ზრუნავს კომპანიის ზრდასა და განვითარებაზე. კომპანია მუდმივად ზრუნავს კადრების გადამზადებასა და მათთვის უსაფრთხო, მეგობრული გარემოს შექმნაზე. მენეჯმენტისათვის სასიამოვნოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ კომპანიიდან კადრების გადინებას ფაქტობრივად ადგილი არ აქვს და ხდება ახალი თანამშრომლების დასაქმება სხვადასხვა პოზიციებზე, როგორც აღინიშნა არა უკვე არსებული თანამშრომელთა ჩანაცვლების ხარჯზე, არამედ კომპანიის ზრდისა და განვითარების ფონზე წარმოშობილი საჭიროებიდან გამომდინარე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

	თანამშრომლების წლიური საშუალო რაოდენობა	წლიური შემოსავალი
2023	18	72,705,956 ლარი
2022	15	84,217,413 ლარი

აქტივების ჯამური ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 8,878,124 ლარს; 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 12,253,010 ლარს.

კომპანიის კაპიტალი

2023 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენდა 1,607,320 ლარს. 2023 წლის წმინდა მოგებამ შეადგინა 13,316,129 ლარი, ხოლო კომპანიის აქცინერებზე გაიცა 14,345,877 ლარის დივიდენდი.

კომპანიის სააქციო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 100,000 ლარს.

კაპიტალის მართვა

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში საკუთარი აქციების შეძენა არ განუხორციელებია. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს ბაზრის პირობებსა და აქციონერთა ინტერესებს, რათა განსაზღვროს აქციების გამოსყიდვის საჭიროება, რომელიც შეესაბამება კორპორატიულ პოლიტიკას

ხელმძღვანელობის განცხადება

ჩვენი კომპანია მოწოდებულია დაიცვას კორპორატიული მართვის უმაღლესი სტანდარტები. ჩვენ გვჯერა, რომ გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და ეთიკური ქცევა აუცილებელია ჩვენი წარმატებისთვის. ჩვენ გავაგრძელებთ გულმოდგინედ მუშაობას იმისათვის, რომ ჩვენი საქმიანობა ასახავდეს ამ ღირებულებებს და დააკმაყოფილოს ჩვენი დაინტერესებული მხარეების მოლოდინები.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 31 იანვარს.

დირექტორი: მაკა გელაშვილი _____

თარიღი: 31 იანვარი 2025 წელი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

	თანამშრომლების წლიური საშუალო რაოდენობა	წლიური შემოსავალი
2023	18	72,705,956 ლარი
2022	15	84,217,413 ლარი

აქტივების ჯამური ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 8,878,124 ლარს; 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 12,253,010 ლარს.

კომპანიის კაპიტალი

2023 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენდა 1,607,320 ლარს. 2023 წლის წმინდა მოგებამ შეადგინა 13,316,129 ლარი, ხოლო კომპანიის აქცინერებზე გაიცა 14,345,877 ლარის დივიდენდი.

კომპანიის სააქციო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 100,000 ლარს.

კაპიტალის მართვა

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში საკუთარი აქციების შეძენა არ განუხორციელებია. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს ბაზრის პირობებსა და აქციონერთა ინტერესებს, რათა განსაზღვროს აქციების გამოსყიდვის საჭიროება, რომელიც შეესაბამება კორპორატიულ პოლიტიკას

ხელმძღვანელობის განცხადება

ჩვენი კომპანია მოწოდებულია დაიცვას კორპორატიული მართვის უმაღლესი სტანდარტები. ჩვენ გვჯერა, რომ გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და ეთიკური ქცევა აუცილებელია ჩვენი წარმატებისთვის. ჩვენ გავაგრძელებთ გულმოდგინედ მუშაობას იმისათვის, რომ ჩვენი საქმიანობა ასახავედეს ამ ღირებულებებს და დააკმაყოფილოს ჩვენი დაინტერესებული მხარეების მოლოდინები.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 31 იანვარს.

დირექტორი: მაკა გელაშვილი

თარიღი: 31 იანვარი 2025 წელი

მ. გელაშვილი

